კვლევა არსებობს თუ არა ადგილობრივ შრომის ბაზარზე მოთხოვნა შემდუღებლის პროფესიაზე

შინაარსი

შესავალი----------3

კვლევის მეთოდოლოგია----------3

კვლევის შედეგები----------3-5

დანართები----------6-9

შესავალი

კოლეჯი ,,ერქვანი'' აპირებს ახალი პროფესიების დამატებას,აქცენტი კეთდება სამშენებლო მიმართულებაზე. ამისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი შრომის ბაზრის შესწავლა, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი და საჭირო პროფესიების განსაზღვრის მიზნით.

რაოდენობრივი კვლევა,რომელიც ჩატარდა ეხებოდა სამშენებლო სექტორს. კვლევის ჩატარების მიზანი იყო,გაგვეგო არის თუ არა მოთხოვნადი და საჭირო შემდუღებლის პროფესია ადგილობრივ შრომის ბაზარზე.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა მიმდინარე წლის 19-23 სექტემბრის პერიოდში.

კვლევის მეთოდოლოგია

პირველ ეტაპზე შეიქმნა რაოდენობრივი კვლევის კითხვარი და იმ საწარმოებისა თუ ინდ. მეწარმეების ბაზა, რომლებიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სამშენებლო სექტორში ოპერირებენ. ჯამში ასეთი აღმოჩნდა 11 სუბიექტი. თითოეულმა მათგანმა მონაწილეობაა მიღო კვლევაში. ქვემოთ წარმოგიდგენთ კვლევის შედეგებს.

კვლევის შედეგები

წარმოგიდგენთ კვლევის შედეგებს:

გამოკითხულ საწარმოებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაა:323 აქედან შემდუღებლის პოზიციაზე დასაქმებულია 12. დასაქმებულ შემდუღებლებს შორის კვალიფიკაცია აქვს 4 -ს. გამოკითხული 11 -დან, მხოლოდ 6 საწარმოში არიან შემდუღებლები დასაქმებული.

5 დამსაქმებელი, რომლებსაც არ ჰყავთ შემდუღებელი, ისურვებდნენ შემდუღებლის კადრს (რაოდენობას ასახელებდნენ 1-ს) . გამოკითხულთა შორის იყო ერთი დამსაქმებელი, რომელსაც ჰყავს ამ ეტაპზე ორი შემდუღებელი, თუმცა ერთ კადრს მაინც დაამატებდა.



კითხვაზე, ისურვებდნენ თუ არა კვალიფიციურ შემდუღებელს, გამოკითხულთა 82 % ამბობს,რომ კი.

კითხვაზე შედუღების რომელ სახეებს იყენებთ ან გჭირდებათ, გამოიკვეთა შემდეგი:



ელექტრორკალური შედუღება	აირული შედუღება	არგონში შედუღება	ინერტიულ აირებში შედუღება (კემპი)	პლაზმური ჭრა	აირული ჭრა
10	**3**	**6**	**6**	**1**	**1**

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივ შრომის ბაზარზე კვალიფიციური შემდუღებლის კადრის საჭიროება არსებობს. შედუღების საახეებიდან, გამოკითხული დამსაქმებლები შემდეგი შედუღების სახეების საჭიროებას ხედავენ:

1. ელექტრორკალური შედუღება
2. არგონში შედუღება
3. ინერტიულ აირებში შედუღება (კემპი)

კვლევის სხვა მიგნებები:

1. დამსაქმებლების 100 % საჭირო კადრს ეძებს პირადი კონტაქტების გამოყენებით.

2.დასაქმებულთა შორის არ ჰყავთ შშმ პირები.

3. უმრავლესობა შშმ პირს დაასაქმებდა, თუკი მათ ექნებოდათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

4.დამსაქმებელი დასაქმებულს ხელფასს გადაუხდის 500-ზე ზემოთ (დამსაქმებლები აღნიშნავდენ ,რომ დამოკიდებული იქნებოდა შესრულებულ სამუშაოზე, აქვე მიუთითებდნენ,რომ კარგი იქნებოდა მრავალფუნქციური თანამშრომელი, რომელიც სხვა ფუნქციებსაც შეასრულებდა საწარმოში გარდა შედუღებისა).

დამსაქმებლები კოლეჯთან თანამშრომლობის ფორმაზე, ყველაზე ხშირად ნიშნავდენ:

1.კოლეჯის სტუდენტებს გავატარებდი პრაქტიკას საწარმოში

2.საწარმოს პერსონალის მომზადება/გადამზადება

3.დასაქმება

4.მონაწილეობა სასწავლო/პროგრამის შემუშავებაში

5.მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა (მონიშნა,მხოლოდ ,,ჯეო ფლაუერმა'')

დანართი

დამსაქმებლის კითხვარი

(პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შედუღება'' -სთან დაკავშირებით)

კომპანიის/საწარმოს
დასახელება_____

კომპანიის/საწარმოს პროფილი
_____

ფაქტიური მისამართი _____

იურიდიული სტატუსი/სახე_____

მოპასუხე საკონტაქტო პირის ინფორმაცია (სახელი, გვარი, მობ.ნომერი, ელ.ფოსტა)

_____

_____

_____

1. **დასაქმებულთა რაოდენობა კომპანიაში/საწარმოში: ----------**

2.დასაქმებულთა შორის გყავთ თუ არა შემდუღებელი:

კი ☐

არა ☐

დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ რაოდენობა:----------

3. მე-2 შეკითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, შემდუღებლის პოზიციაზე დასაქმებულ პირს/პირებს;

ა) აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია ☐

ბ) არ აქვს კვალიფიკაცია, აქვს პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება ☐

4.მე-3 კითხვაზე ბ პასუხის დაფიქსირების შემთხვევაში, ისურვებდით თუ არა კვალიფიციურ კადრს:

კი ☐

არა ☐

5. მე-2 კითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ისურვებდით თუ არა ასეთ კადრს(შემდუღებელს):

კი ☐

არა ☐

თუ კი რამდენს (ჩაწერეთ)----------

<u>მე-5 კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, განაგრძოთ კითხვარის შევსება!</u>

6. ჩამოთვლილთაგან, თქვენი საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე,შედუღების რომელ სახეებს იყენებთ ან და გჭირდებათ *(შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი):*

ა) ელექტრორკალური შედუღება ☐

ბ) აირული შედუღება ☐

გ)არგონში შედუღება ☐

დ) წყალქვეშა შედუღება ☐

ე)ინერტიულ აირებში შედუღება (კემპი) ☐

ვ)პლაზმური ჭრა ☐

ზ) აირული ჭრა ☐

6. თქვენი საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე შემდუღებლის სამუშაო დრო დღის განმავლობაში შეადგენს:

ა) 8 სთ-ს ☐

ბ) 4 სთ-ს ☐

გ) სხვა (აღწერეთ)--

7. შემდუღებლის პოზიციაზე დასაქმებულს, ხელფასის სახით უხდით ან გადაუხდით:

ა) 150-300 ლარს ☐

ბ)300-500 ლარს ☐

გ) 500-დან ზემოთ ☐

დ) სხვა (ჩაწერეთ) -----------------------

8.როგორ უზრუნველყობთ კადრების მოძიებას სამუშაოს მოთხოვნებიდან გამომდინარე *(შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი):*

1)ვაკანსიას ვათავსებ დასაქმების საიტებზე (მაგ: jobs.ge, hr.ge, სოც. ქსლებში) ☐

2)ვეძებ საჭირო კადრს პირადი კონტატქების საშუალებით; ☐

3. სხვა(აღწერეთ) ---

9. დასაქმებული პერსონალში გყავთ თუ არა შშმ პირი/პირები:

კი ☐

არა ☐

უარყოფითი პასუხის შემთხვევაში დაასაქმებდით თუ არა შშმ პირს:

☐

არა ☐

10. ითანამშრომლებდით თუ არა კოლეჯთან:

კი ☐

არა ☐

დადებითი პასუხის შემთხვევაში, მონიშნეთ თანამშრომლობის ფორმა (შეგიძლიათ აირჩიოთ რამოდენიმე პასუხი):

ა) კოლეჯის სტუდენტებს გავატარებდი პრაქტიკას საწარმოში ☐

ბ) საწარმოს პერსონალის მომზადება/გადამზადება' ☐

გ) მონაწილეობა სასწავლო პროგრამის/პროგრამების შემუშავებაში ☐

დ) მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა; ☐

ე) სხვა (აღწერეთ) ----------

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!!!